პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

№ 3 (3997) 6 1970 წ. იანვარი. სამშაბათი. ფასი 3 კაპ.

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

ვ. მუნტიანი — წლის საუკეთესო ფეხბურთელი

ყოველკვირეული დამატება „ფუტბოლ-ჰოკეის" რედაქცია ყოველი წლის ბოლოს აწყობს ჟურნალისტთა დიდ გამოკითხვას: დაასახელეთ წლის საუკეთესო ფეხბურთელი.

1969 წლის გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო ჟურნალ-გაზეთების, სააგენტოების, რადიოსა და ტელევიზიის 106 ჟურნალისტმა. პირველ ადგილზე დასახელებულ ფეხბურთელს ეწერებოდა 3 ქულა, მეორეზე — 2 და მესამეზე — 1.

რეფერენდუმის შედეგად 1969 წლის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელებულ იქნა ვ. მუნტიანი, რომელმაც მიიღო 51 I ადგილი, 32 — II და 6 — III (223 ქულა).

მეორე ადგილი მიეკუთვნა მოსკოვის „სპარტაკის" მეკარეს ა. კავაზაშვილს (170 ქულა), ხოლო მესამე — ცსკა-ს ცენტრალურ მცველს ა. შესტერნიოვს (76 ქულა).

ზემოჩამოთვლილი სამეულის შემდეგ ადგილები ასე განაწილდა: ნ. ხსიანინი (49 ქულა), ვ. სერებრიანიკოვი (28), გ. ჰუსაინოვი (14), კ. ასათიანი, ლ. იაშინი (13-13), ა. ბიშოვეცი (12), ე. ლოვჩევი (11), ე. რუდაკოვი (9), ნ. კისელიოვი (5), რ. ძოძუაშვილი (4), გ. ნოდია (3), ვ. პაპაევი, ვ. ხმელნიცკი (2-2), ვ. ლარინი, ვ. კოზლოვი, ვ. კაპლიჩნი, ვ. სოსნიხინი (1-1).

საინტერესოა, რომ გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღეს წინა წლების უძლიერეს ფეხბურთელებად აღიარებულმა მოთამაშეებმაც. ვ. ვორონინმა დაასახელა მუნტიანი, ჰუსაინოვი, ასათიანი; ა. ბიბამ — მუნტიანი, შესტერნიოვი, ხურცილავა, ხოლო ე. სტრელცოვმა — მუნტიანი, ჰუსაინოვი, ასათიანი.

* * *

სურათზე: ვ. მუნტიანი.

სპორტული სამყაროს ექო

მხარს უჭერენ მოსკოვის კანდიდატურას

მოსკოვის წინადადებას 1976 წლის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების მასპინძლობის თაობაზე თანდათან უფრო მეტი მომხრე უჩნდება. საბოლოო სიტყვა ეკუთვნის საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს, რომელიც თავის სესიაზე მაისში შეიკრიბება ამსტერდამში. სოკ-ს არ შეუძლია ანგარიში არ გაუწიოს იმ დადებით გამოძახილს, რაც საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქის თაოსნობამ გამოიწვია.

„1976 წლის ოლიმპიადის მოსკოვში ჩატარების იდეა ბრწყინვალედ მიმაჩნია, — უთხრა საკდესის კორესპონდენტს ჰელსინკის — 1952 წლის ოლიმპიადის დედაქალაქის ბურგომისტრმა ტ. აურამ. — მოსკოვის წინადადება საინტერესოა იმიტომაც, რომ სტუმართმოყვარე ოლიმპიური მასპინძლის როლზე სოციალისტური ქვეყანა პირველად აცხადებს პრეტენზიას".

1960 წლის ოლიმპიური დედაქალაქის — რომის მერმა კ. დარიდამ პრეტენდენტების „ბრძოლაში" გულწრფელად დაუჭირა მხარი მოსკოვს: „საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს რთული არჩევანი ელის. მაგრამ თუ იგი საკითხს მოსკოვის სასარგებლოდ გადაწყვეტს, დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ქვეყნის დედაქალაქი და მისი მცხოვრებნი კარგ მასპინძლობას გამოიჩენენ. შეჯიბრებას საუცხოოდ მოაწყობენ".

ბაიდარებითა და კანოებით ნიჩბოსნობის საერთაშორისო ფედერაციის პრეზიდენტს შ. დე კოკრემონს (საფრანგეთი) მოსკოვის შანსები უფრო საიმედოდ მიაჩნია. თავის მხრივ იგი 1976 წლის ოლიმპიადის ორგანიზატორებს უსურვებს პროგრამაში შეიტანონ საწყალოსნო სლალომი.

თავიანთი შეხედულება გამოთქვეს საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის სხვა წევრებმაც, თუმცა მათ ჯერჯერობით არა აქვთ უფლება ოფიციალურად მხარი დაუჭირონ რომელიმე კანდიდატურას. პრინცმა ტაკედამ (იაპონია) განაცხადა, რომ მოსკოვს ყველა საფუძველი აქვს ამ პრეტენზიისთვის. მან აღნიშნა, რომ სპორტული სამყარო დიდი ინტერესით შეხვდა საბჭოთა დედაქალაქის ინიციატივას, იაპონელები კი მზად არიან მოსკოველებს სიხარულით გაუზიარონ ოლიმპიური თამაშების ჩატარების გამოცდილება. საფრანგეთის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ და სოკ-ის წევრმა ჟ. დე ბომონმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ მოსკოვს აქვს ყველა აუცილებელი პირობა ოლიმპიური თამაშების ორგანიზაციისთვის.

მოსკოვის თაოსნობის გამო ბოლო დღეებში დადებითი აზრი გამოთქვეს საერთაშორისო სამოყვარულო მძლეოსნობის ფედერაციის პრეზიდენტმა, სოკ-ის წევრმა, მარკიზმა ექსეტერმა (ინგლისი), სამოყვარულო კრივის საერთაშორისო ასოციაციის პრეზიდენტმა რ. რასელმა (ინგლისი), რუმინეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარემ ა. ალექსემ. წარსულ წლებში სახელგანთქმულმა მძლეოსანმა ფანი ბლანკერსკოენმა (ჰოლანდია), დღევანდელმა მსოფლიო ჩემპიონებმა — უნგრელმა ა. ბალცომ (თანამედროვე ხუთჭიდი) და პოლონელმა ვ. ბაშანოვსკიმ (ძალოსნობა).

ᲡᲐᲙᲔᲚᲘ [illegible]



რ. აბჟანდაძე, ა. მეტრეველი და ა. ივანოვა — აზიის ჩემპიონები

დელი, 4 იანვარი. თბილისელმა ჩოგბურთელებმა რენა აბჟანდაძემ, ალექსანდრე მეტრეველმა და ა. ივანოვამ აქ ბრწყინვალე წარმატებას მიაღწიეს — აზიის ჩემპიონის წოდება მოიხვეჭეს.

ქალთა ერთეულების ფინალში აბჟანდაძემ მწვავე ბრძოლის შემდეგ დაამარცხა თანამემამულე ა. ივანოვა — 9:7, 6:3.

ვაჟთა შორის ფინალში გავიდნენ სსრ კავშირის ჩემპიონი ა. მეტრეველი (ნახევარფინალში დაამარცხა ინდოელი ჯ. მუკერჯი — 6:3, 6:4, 6:2) და ინდოელი პ. ლალი (ნახევარფინალში მოუგო თბილისელ თ. კაკულიას — 6:2, 6:2, 6:2). ფინალური შეხვედრა ქართველი სპორტსმენის გამარჯვებით დამთავრდა — 6:3, 6:4, 2:6, 3:6, 6:3.

შერეულ წყვილთა გადამწყვეტ მატჩში მეტრეველმა და ა. ივანოვამ აჯობეს ინდოელ კ. პეშვარიასა და უნგრელ ი. გუიაშს — 6:3, 6:3.

მასპინძლებმა მხოლოდ ვაჟთა წყვილებში იმარჯვეს: ს. მინოტრამ და ს. მირსამ ფარ-ხმალი დააყრევინეს თავიანთ სახელგანთქმულ თანამემამულეებს ლალსა და მუკერჯის — 6:2, 9:7, 6:4.

* * *

სურათებზე: რ. აბჟანდაძე თამაშის დროს; ა. მეტრეველი.

ფინალში ითამაშებენ

ახლახან კიროვაკანში გაიმართა მოზარდ მაგიდის ჩოგბურთელთა საკავშირო ზონალური შეჯიბრება, რომელშიც საქართველოს წარმომადგენლებიც მონაწილეობდნენ. ჩვენი რესპუბლიკის გოგონათა ნაკრებმა (მწვრთნელი კ. გუგუშვილი) კარგი მომზადება გამოავლინა, II ადგილი დაიკავა და ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა.

ფინალური ასპარეზობა 12 იანვარს დაიწყება პიატიგორსკში. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მაგიდის ჩოგბურთელი გოგონები შეჯიბრების ფინალში უკვე ოთხი წელია არ გამოსულან. სამწუხაროდ, ჩვენი რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრები ფინალში ვერ მოხვდა, მაგრამ პირადი შეჯიბრების ფინალში მონაწილეობის უფლება მოიპოვა ბათუმელმა გ. სარხოიანმა. კიროვაკანში მან II ადგილი დაიკავა.

ჯ. ჭამალაშვილი.

ახალი ამბები

● ესტერსუნდი, 4 იანვარი. წლევანდელ სეზონში საუცხოოდ ასპარეზობს ცნობილი ნორვეგიელი ვეტერანი მოთხილამურე მაგნარ ლუნდემუ. აი, ახლაც, შვეციის ამ ქალაქის მიდამოებში გამართულ საერთაშორისო შეჯიბრებაში მან ისევ გამარჯვება იზეიმა: ძლიერ მეტოქეებთან 20 კილომეტრზე რბოლაში საუკეთესო შედეგი აჩვენა — 1:00.11. II ადგილზე გავიდა შვედი ი. ჰალვარსონი — 1:00.40, ხოლო III — ასევე შვედი მოთხილამურე მ. რიზბერგი — 1:00.54.

● ოსლო, 4 იანვარი. მოციგურავეთა აქ გამართული ტრადიციული საახალწლო შეჯიბრება მოიგო მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონმა დ. ფორნესმა, რომელმაც ნორვეგიელთათვის სარეკორდო ჯამი დააგროვა მრავალჭიდში — 174,297 ქულა. II ადგილი დაიკავა ევროპის ექს-ჩემპიონმა, ჰოლანდიელმა ა. სხენკმა — 175,875 ქულა.

● ჟენევა, 4 იანვარი ევროპის იუნიორ ჰოკეისტთა აქ დამთავრებულ ჩემპიონატში ყველას აჯობა სსრ კავშირის ნაკრებმა, რომელმაც გადამწყვეტ მატჩში ანგარიშით 5:3 დაამარცხა ჩეხოსლოვაკიელი თანატოლები.

● სან-პაულუ, 4 იანვარი. სახელგანთქმული „სენ-სილვესტრის კორიდა" — ბრაზილიის ამ ქალაქის ქუჩებში 31 დეკემბერს დაწყებული და 1 იანვარს დამთავრებული საერთაშორისო ტრადიციული მძლეოსნური კროსი მოიგო მექსიკელმა ხ. მარტინესმა. 8400-მეტრიანი დისტანცია მან 24 წუთსა და 2,3 წამში დაფარა. ამ საახალწლო გარბენში, რომელსაც მუდამ ახლავს სირენების ღმუილი და ათასობით მაყურებლის ტაში, 20 სახელმწიფოს 277 მძლეოსანი მონაწილეობდა. მარტინესმა, რომელმაც მეხიკოს ოლიმპიურ თამაშებში IV ადგილები დაიკავა 5000 და 10000 მეტრზე რბენაში, სან-პაულუში დაბადების დღეს გაიმარჯვა — მას 25 წელი შეუსრულდა.

● კორტინა დ'ამპეცო, 4 იანვარი. ორადგილიანი ბობსლეიებით იტალიის ამ სამთო აგარაკზე გამართულ შეჯიბრებაში ევროპის ჩემპიონთა წოდება მოიგეს მასპინძლებმა ჯ. გასპარიმ და მ. არმანომ. არმანო შედიოდა ოთხადგილიანი ბობსლეის შემადგენლობაში, რომელმაც გრენობლის თეთრ ოლიმპიადაში ოქრო მოიხვეჭა, 31 წლის გასპარი კი გუნდში, რომელიც ოლიმპიადაში VI ადგილზე აღმოჩნდა. ჩემპიონებთან სულ რაღაც ორი მეასედი წამი წააგეს გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წარმომადგენლებმა ჰ. ფლოტმა და პ. ბადერმა. გრენობლის „თეთრი თამაშების" ვერცხლის პრიზიორებმა ამჯერადაც II ადგილი დაიკავეს.

ახალი ამბები

ფრენბურთი: დიდი გამოცდის წელი

გასულმა სეზონმა ფრენბურთის საბჭოთა მოყვარულებს სიხარულიც მოუტანა და წყენაც.

წყენა დაიწყო სსრ კავშირის ვაჟთა ნაკრების გამოსვლით ურუგვაის ფრენბურთის ფედერაციის იუბილესადმი მიძღვნილ ტურნირში, რომელშიც მონაწილეობდნენ იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, სსრ კავშირის, გდრ-ის, ბრაზილიის, ვენესუელის, მექსიკის, ტუნისის, აშშ-სა და ურუგვაის ნაკრები გუნდები.

წააგო რა ფინალურ შეჯიბრებებში გდრ-ისა (1:3) და ჩეხოსლოვაკიის (1:3) ფრენბურთელებთან, საბჭოთა გუნდმა III ადგილი დაიკავა. ურუგვაიში კი გამოდიოდა ჩვენი ოლიმპიური, ჩემპიონური შემადგენლობა, რომელსაც მეხიკოს შემდეგ მნიშვნელოვანი ცვლილება არ განუცდია.

ამას მოჰყვა წარმატება იაპონიაში, მოსკოვის ტურნირში გამარჯვება, რაც ფრენბურთის მოყვარულთ აიმედებდა, რომ სსრ კავშირის გუნდი კარგად ითამაშებდა მსოფლიო თასის გათამაშებაში — წლის მთავარ ტურნირში. მაგრამ ასე არ მოხდა: გუნდმა კვლავ III ადგილი დაიკავა, — წინ გაუშვა გდრ-ისა და იაპონიის კოლექტივები.

ეს წარუმატებლობა სპორტსმენთა დაღლილობით (ამ მიზეზს ასახელებდნენ ურუგვაის ტურნირში დამარცხების შემდეგაც), კალენდრის უხეირობითა და ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე მოთამაშის (ი. ბუგაენკოვი, ვ. ბელიაევი) ავადმყოფობით შეიძლება გავამართლოთ, მაგრამ მთავარი მაინც სულ სხვაა — უნებისყოფობა, თამაშისადმი გულგრილი დამოკიდებულება, სუსტი ფიზიკური მომზადება (დაძაბულობას ვერ გაუძლეს ვ. მატუშევამა და ვ. მოკრუშოვმა, რომელთა სახელებსაც მწვრთნელები მომავლის იმედებს უკავშირებდნენ). აი, მსოფლიო თასზე ასპარეზობაში საბჭოთა ფრენბურთელების წარუმატებლობის მიზეზები.

გულშემატკივართა გასახარად, საბჭოთა ჭაბუკი ფრენბურთელები უკეთესად გამოვიდნენ—მათ მეორედ მოიგეს ევროპის პირველობა. ო. ზაპაროჟეცმა, ვ. ულანოვმა, ნ. რაგოზინმა და მათმა ამხანაგებმა კარგად, ცოცხლად ითამაშეს და მეტოქეებს ყველა შეხვედრა მოუგეს ანგარიშით 3:0. ახალგაზრდულმა გუნდმა გაგვახარა შემართებით, სიახლით და, რაც მთავარია, თამაშის შინაარსით. ამ საპასუხისმგებლო შეჯიბრებებში ყმაწვილები გაბედულად იყენებდნენ რთულ ტაქტიკურ ილეთებს. ერთი სიტყვით, მაყურებლებმა ნახეს მწყაზე, კომბინაციური ფრენბურთი. , იყო სათამაშო დისციპლინის მკაცრი დაცვა და ჭკვიანური იმპროვიზაციაც. ამაში დიდი დამსახურება მიუძღვით გუნდის მწვრთნელებს ი. კურაევსა და ლ. მილმანს, რომლებმაც მოკლე დროში შეძლეს მეგობრული, მებრძოლი კოლექტივის შექმნა.

მაგრამ არ შეიძლება ითქვას, რომ, მიუხედავად დამაჯერებელი შედეგებისა, გამარჯვება თავისით მოვიდა. ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ბულგარეთისა და სხვა ქვეყნების იუნიორთა შორის ბევრი პერსპექტიული მოთამაშეა, რომელთაც ეროვნულ გუნდებში ალბათ უკვე 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატში ვიხილავთ. ესენი არიან ბეშელი (პოლონეთი), ზლატანოვი (ბულგარეთი), სტანგო (ჩეხოსლოვაკია), ოროსი (რუმინეთი), ჰაგენი (გდრ), პეტრაკოვიჩი (უნგრეთი).

სსრ კავშირის ქალთა ეროვნული ნაკრები 1969 წლის წარმატებებით ვერ დაიტრაბახებს. მეხიკოს ოლიმპიადის შემდეგ გუნდში ზოგიერთი ცვლილება მოხდა. დროებით დატოვეს სარბიელი ი. რისკალმა, რ. სელიხოვამ და ლ. მიხაილოვსკაიამ: სამივე დედა გახდა. ისინი მხოლოდ ამ რამდენიმე ხნის წინ შეუდგნენ თავიანთ კლუბებში ვარჯიშს. იმედია, მაყურებლები მათ ნახავენ შემოდგომაზე, როცა ბულგარეთში მსოფლიო ჩემპიონატი გაიმართება. მაგრამ ამ გამოცდილი მოთამაშეების გუნდში არყოფნა არ ამართლებს ვარნის ტურნირში კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენლებთან დამარცხებას. დიდ წარმატებად არც იაპონიაში ტურნე უნდა მივიჩნიოთ (7 თამაშიდან ოთხი გამარჯვება). ნათელია: არ გვყოფნის მაღალი კლასის მოთამაშეები რომლებიც შეძლებდნენ ვეტერანების შეცვლას. ამას ცალკეულ ფრენბურთელთა ასაკიც მოწმობს: ტ. სარიჩევას, ო. ლეიშჩენკოს, მ. ბატუტინეს გარდა, ახალგაზრდული ნაკრებიდან არავინაა ეროვნულ გუნდში თამაშის ღირსი.

დიახ, ჩვენი ფრენბურთელი ქალიშვილების უპირატესობა ევროპის სხვა ქვეყნების თანატოლებთან შედარებით აშკარა იყო. მით უფრო საწყენია, რომ შარშან მათ კარგად, შინაარსიანად ვერ ითამაშეს: დაამტკიცეს თავიანთი უპირატესობა ფიზიკურ მომზადებაში, ტექნიკური ილეთების ფლობაში, ძალისმიერ თავდასხმაში, ბლოკირებაში, მაგრამ ტაქტიკური თვალსაზრისით თამაშს პრიმიტიულად წარმართავდნენ. ისინი მხოლოდ ეპიზოდურად იყენებდნენ რთულ ტაქტიკურ ილეთებს. შეიძლება თქვან: რა საჭიროა ფილოსოფია, როცა უამისოდაც შეიძლება გაიმარჯვო. მაგრამ ვისაც უნდა ხვდებოდეს, თუნდაც სუსტ მეტოქეს, ახალგაზრდა ვალდებულია მრავალფეროვნებისკენ ისწრაფოდეს. სხვაგან სად შეიძლება სრულყო ცოდნა, გამოიჩინო ჯაბედულება ტაქტიკური ილეთების შესრულების დროს, რაც ასე საჭიროა უფრო მეტოქეებთან მომავალ ძნელ შეხვედრებში?

ნუ მიწყენენ საზღვარგარეთელი კოლეგები: ჩვენი ქალიშვილები უკეთ იყვნენ მომზადებული. როგორც ჩანს, ევროპის ქალთა ფრენბურთის გაჭიანურებულმა კრიზისმა თავისი დაღი დაასვა ნორჩთა მომზადების საქმესაც. ამასთან, უნდა აღვნიშნოთ, რომ ბოლო წლებში მწვრთნელებმა ბევრი იმუშავეს ახალგაზრდული კოლექტივების დაკომპლექტებისთვის. თუ შეიძლება ასე ითქვას, გუნდები „გაიზარდნენ“: მათი უმრავლესობის შემადგენლობის საშუალო სიმაღლე 173-176 სმ-ს უდრის. გაუმჯობესდა ფრენბურთელთა ფიზიკური მომზადება. იშვიათი როდია შემთხვევები, როცა თამაში ორ საათსა და უფრო მეტ ხანს გრძელდება, და ყველა იოლად უძლებს გამოცდას. რასაკვირველია, ტექნიკაში ოდნავი სისუსტე ხშირად არ იძლევა ისეთი ტაქტიკური კომბინაციების განხორციელების საშუალებას, როგორიც მაღალი კლასის გუნდებს შეეფერება. მაგრამ ასეთი ცდები იყო, განსაკუთრებით, შეჯიბრების ბოლოს. ვნახეთ შეხვედრები, სადაც ნამდვილად გამოჩნდა მებრძოლის თვისებები. გავიხსენოთ, თუნდაც, რუმინეთისა და უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიისა და გდრ-ის გუნდების შეხვედრები. გამოვლინდნენ კოლექტივთა ნამდვილი ლიდერები — პოპესკუ და პოპა (რუმინეთი), საევკოპფი (გდრ), შებიკი (უნგრეთი), სარიჩევა (სსრ კავშირი) და სხვა ნიჭიერი ფრენბურთელები. სულ მალე ისინი ალბათ ეროვნულ გუნდებში დაიკავებენ ადგილს.

ძნელია გადაჭარბებით შეაფასო ევროპის პირველობაზე ახალგაზრდული გუნდების შეჯიბრების მნიშვნელობა. ამას მოწმობს უფროსი ასაკის ფრენბურთელთა გუნდების მწვრთნელთა დიდი ინტერესი, რასაც ისინი ამ ჩემპიონატის მიმართ იჩენენ. მაყურებლებს შორის ვნახეთ ცნობილი მწვრთნელები კრისაკი (პოლონეთი), მახი (ჩეხოსლოვაკია), პროხოროვი (ბულგარეთი) და ბევრი სხვა ჩვენი კოლეგა.

სასიამოვნო იყო, როცა მწვრთნელები, გუნდების ხელმძღვანელები შეჯიბრების მომსახურე მსაჯებს აქებდნენ. შეხვედრებს ხელმძღვანელობდნენ გამოცდილი საერთაშორისო კატეგორიის მსაჯები: ალბუცი და არხირე (რუმინეთი), ალტაფი (თურქეთი), ვიდარტე (ბელგია), ტიშეცკი (პოლონეთი). მათ უფრო ნაკლებ გამოცდილ კოლეგებთან მყისვე გამონახეს საერთო ენა, რამაც ხელი შეუწყო საქმის წარმატებას.

წლეულს ფრენბურთელები მსოფლიოში უძლიერესის სახელს შეეცილებიან ერთმანეთს. ფრენბურთის საერთაშორისო ფედერაციამ ჩემპიონატის ჩატარება ბულგარეთის ფრენბურთის ფედერაციას დაავალა. სარბიელზე გავა ვაჟთა და ქალთა 16-16 გუნდი. შარშანდელი საერთაშორისო შეხვედრები იმას მოწმობს, რომ მსოფლიო ჩემპიონობისთვის ბრძოლა დაძაბული და მძიმე იქნება.

ვაჟთა გუნდებში კვლავინდებურად ლიდერობენ გდრ-ის, იაპონიის, ჩეხოსლოვაკიის, პოლონეთის, ბულგარეთისა და სსრ კავშირის წარმომადგენლები. მათ მეტოქეობას გაუწევენ რუმინეთის, ბრაზილიის, აშშ-ს, უნგრეთის ნაკრები კოლექტივები. უპირატესობას ვერავის მიანიჭებ. თითოეულ გუნდს თავის აქტივში აქვს გამარჯვება მეტოქეებთან. დაუმარცხებელი არავინაა.

ქალთა ფრენბურთის აღიარებულ ფავორიტებს — იაპონიისა და სსრ კავშირის წარმომადგენლებს შეეჯიბრება კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრული, ძლიერი გუნდი. კორეელმა ფრენბურთელებმა შარშან ძლიეს იაპონიისა და სსრ კავშირის სპორტსმენებს. გუნდი გამოირჩევა მოთამაშეთა ჩინებული ფიზიკური მომზადებით, ტექნიკურ-ტაქტიკური მონაცემების მაღალი დონით. კორეელებს შეხვედრის ბოლომდე შეუძლიათ არ გაანელონ მაღალტემპიანი, კომბინაციური თამაში, აქვთ შესანიშნავი საბრძოლო თვისებები, გამბედაობა, მკაცრი სათამაშო დისციპლინა. ყოველივე ეს გუნდს კორეელ ქალთა მსოფლიო ფრენბურთის მოწინავეთა რიგებში აყენებს.

ანგარიშგასაწევი არიან პოლონეთის, გდრ-ის, უნგრეთის, ჩეხოსლოვაკიის გუნდები, რომლებმაც წარმატებით გადალახეს თაობათა ცვლის პერიოდი. მათი მწვრთნელების დიდი გამოცდილებაა საწინდარი, რომ ეს კოლექტივები ყოველი ფავორიტის საშიში მეტოქეები იქნებიან.

ჩემპიონატამდე დარჩენილი დრო ალბათ თავის ცვლილებებს შეიტანს ტაბელებსა და რანგებში.

ო. ჩეხოვი,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

ჰალე (გდრ). მსოფლიო თასის გათამაშების პირველ მატჩში საბჭოთა კავშირის ფრენბურთელთა ნაკრებმა III ქვეჯგუფში მოუგო ბულგარეთის გუნდს — 3:2.

ს უ რ ა თ ზ ე: სსრ კავშირისა და ბულგარეთის (მარჯვნივ) გუნდების შეხვედრის მომენტი.

ტელეფოტო ადნ—საკდესისა.

წოდებათა მინიჭება

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის დადგენილებით სპორტის ოსტატის კანდიდატის წოდება მიენიჭათ: **სახანძრო-გამოყენებით სპორტში** — ვ. პერსიკოვს, ნ. გურგენიძეს, გ. ბუკიას (სამივე — ფოთის „დინამო“); **ფარიკაობაში** — ზ. დავარაშვილს, დ. ფერაძეს, თ. ყანდარელს (სამივე—თბილისის „ბურევესტნიკი“), გ. ფანცულაიას, თ. ესართიას (ორივე — თბილისის „სპარტაკი“), ბ. კუპატაშვილს (ქუთაისის „სპარტაკი“); **ტანვარჯიშში** — გ. ჯაფაროვას (თბილისის „ბურევესტნიკი“), ს. სიჩევას, გ. უზუნიანს, ა. ოსიპოვას, ლ. ტაკაძეს (ყველა — თბილისის „ლოკომოტივი“), ლ. სედიხს (თბილისის „განთიადი“), პ. შამუგიას (თბილისის „დინამო“), მ. კიფაიას, ზ. გეგეჭკორს (ორივე — ზუგდიდის „შრომითი რეზერვები“), ვ. კამალოვს, ვ. პეტრენკოს (ორივე — თბილისის „შრომითი რეზერვები“); **ველოსპორტში** — პ. ჩუტკერაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი“), ი. ხლისტუნოვს (ქობულეთის „კოლმეურნე“), თ. ჩიტაძეს (ბათუმის „ბურევესტნიკი“), პ. ზინოვიევას, ლ. აგაზარიანცს (ორივე — რუსთავის „განთიადი“), ვ. ქურაველიოვას (ბათუმის „განთიადი“); **აკრობატიკაში** — ა. არაზიანს (თბილისის „ბურევესტნიკი“), პ. მურაჩაშვილს, ა. კოჩიევას, გ. შავლოხოვს (სამივე — თბილისის „შრომითი რეზერვები“), ვ. და რ. დედანაშვილებს (ორივე — თბილისის „სპარტაკი“); **კლასიკურ ჭიდაობაში** — ე. მორგოშიას, კ. კიკნაძეს, რ. მახარაძეს, თ. გალდავას, ლ. გაბისიანს (ყველა — თბილისის „დინამო“), შ. გიგოლაშვილს (თბილისის „სპარტაკი“), ზ. ჩიხლაძეს (ქუთაისის „ბურევესტნიკი“), გ. კოხრეიძეს (თბილისის „შრომითი რეზერვები“), ვ. თამირაზოვს, ა. ჩალაურს (ორივე — თბილისის ასკ), ა. ნებულიშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **რუსულ შაშში** — ა. ჩეკულაევს (თბილისის „ბურევესტნიკი“); **ასუჯრიან შაშში** — ნ. ძამუნაშვილს, გ. ამირხანოვს, ვ. ინწკირველს (სამივე — თბილისის „ლოკომოტივი“); **სამბოში** — ა. ქურასპედიანს (ქუთაისის „ბურევესტნიკი“), დ. ონიანს (ქუთაისის „დინამო“), ჯ. გოგიძეს (გარდაბნის „კოლმეურნე“), ღ. აბჟანდაძეს (ბათუმი, „კოლმეურნე“), შ. დალაქიშვილს (თელავის „კოლმეურნე“), ა. წიქარიძეს (ზესტაფონის „კოლმეურნე“), შ. მეზურნიშვილს (ქუთაისის „განთიადი“), პ. პოპოვს, ვ. გუმაშვილს (ორივე — წითელწყაროს „კოლმეურნე“); **თავისუფალ ჭიდაობაში** — ზ. ნიკურაძეს, გ. ბალაშვილს (ორივე — თბილისის „სპარტაკი“), გ. ჯიბლაშვილს (თბილისის „განთიადი“), ნ. კავილაძეს (ტყიბულის „განთიადი“), ა. ბაბუციძეს (ცხინვალის „განთიადი“), ა. თამაზაშვილს (თბილისის „შრომითი რეზერვები“), ა. სულაქველიძეს, დ. აგახანოვს (ორივე — ქუთაისის „ლოკომოტივი“), ა. მაისურაძეს, გ. მარგველაშვილს, რ. შინშინაშვილს, გ. ქავთარაძეს, ვ. იაშვილს (ყველა — თბილისის „ბურევესტნიკი“), ი. სკრილნიკოვს (ბათუმი, „კოლმეურნე“), თ. ერემეიშვილს, რ. კუჭავას (ორივე — ქუთაისის „სპარტაკი“), ლ. ცხოვრებოვს, ყ. ბაბაევს, ვ. გაზაევს (სამივე — ცხინვალის „კოლმეურნე“), რ. გერგაულოვს (ცხინვალის „განთიადი“), მ. ცნობილაძეს (თბილისის „დინამო“), რ. გაგოშიძეს, ვ. ქორიძეს, ვ. კირვალიძეს, ა. მელიავას (ყველა — ქუთაისის „განთიადი“), დ. ზოიძეს (ბათუმის „დინამო“), ა. თეთვაძეს, შ. ხაბალაშვილს (ორივე — გორის „განთიადი“); **კრივში** — ვ. ჩაჩანიძეს (თბილისის „სპარტაკი“), ა. ტოპალოვს (სოხუმის „ბურევესტნიკი“), ე. არუთინოვს, ვ. ლუკიანოვს (ორივე — თბილისის „განთიადი“), ბ. ქურციკიძეს, თ. ლორთქიფანიძეს, გ. ქორქაშვილს, ი. ვოსკანოვს (ყველა — ქუთაისის „განთიადი“); **რეგბიში** — ი. ნაცვლიშვილს, ი. ფურცელაძეს, ვ. იმხაიშვილს, გ. მოდებაძეს (ყველა — თბილისის „ლოკომოტივი“); **ჭადრაკში** — ლ. ზაიდშერს (სოხუმის „დინამო“), ი. გასპაროვს (თბილისის „დინამო“), თ. აგაბეგაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი“), მ. ფრიდინსკის (თბილისის „ლოკომოტივი“), ვ. სემიონოვს, ს. ელბაქიძეს (ორივე — თბილისის „დინამო“); **წყალბურთში** — ი. ცინცაძეს, ვ. ბატურინს (ორივე — თბილისის „ლოკომოტივი“), ი. ლობჟანიძეს, ვ. ბერიძეს, ი. ლებედევს, შ. მოშიაშვილს, ი. სეროპიანს, ვ. როდინს, კ. დანელიას, ს. დოლგოვს, ვ. ქურდაძეს, ბ. ლუკიანოვს, ა. მეტრეველს, გ. მალანიას, ო. იოსელიანს, კ. ალაშნიკოვს, თ. ჩიხლაძეს (ყველა — თბილისის „ბურევესტნიკი“), ნ. კურტანიძეს (თბილისის „დინამო“); **ფეხბურთში** — ჯ. ჯაგაშვილს (თბილისის „სპარტაკი“), მ. მირიანაშვილს, ვ. პანოვს, ზ. შხვაცაბაიას, მ. ჭელიძეს, ა. ონიანს, ო. ბახტაძეს, რ. ბერიძეს, თ. მიქაშავიძეს, თ. მეტრეველს, ბ. ჯორბენაძეს, მ. ძაგანიას (ყველა — თბილისის „ლოკომოტივი“); **მძლეოსნობაში** — დ. საბაურს (თბილისის „ბურევესტნიკი“), რ. ჩუბინიძეს (ქუთაისი, განათლების განყოფილება), გ. სტეპანოვს (თბილისის „სპარტაკი“), ს. კოჩეგუროვს (მარნეულის „კოლმეურნე“); **ტყვიის სროლაში** — ვ. ნანობაშვილს (თბილისის „დინამო“); **სასტენდო სროლაში** — თ. იმნაიშვილს (თბილისის „ლოკომოტივი“); **მაგიდის ჩოგბურთში** — ლ. ავდალიანს (ბათუმის „ბურევესტნიკი“), ა. სუჯაშვილს (თბილისის „ბურევესტნიკი“), ო. ბეგოიანს (თბილისის „სპარტაკი“); **საწყლოსნო ტურიზმში** — კ. გირგიდოვს (თბილისის „შრომითი რეზერვები“); **ძალოსნობაში** — ლ. კამალოვს (თბილისის „ლოკომოტივი“), ე. ავდიანს (თბილისის „დინამო“), ნ. თავართქილაძეს (ქობულეთის „კოლმეურნე“); **თანამედროვე ხუთჭიდში** — დ. ფარცვანიას (სოხუმის „დინამო“); **ნიჩბოსნობაში** — ვ. მაკაროვს (თბილისის „ლოკომოტივი“); **ცურვაში** ვ. ბარანიკოვს (ბათუმის „დინამო“), თ. ცაგარელს (თბილისის „დინამო“).

ზამთრის მეშვიდე პროფკავშირული...

1970-71 წლების სპორტულ სეზონში ჩატარდება სსრ კავშირის პროფკავშირთა ზამთრის VII სპარტაკიადა. ასე გადაწყვიტეს პროფკავშირთა ცენტრალურმა საბჭომ, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტმა.

სპარტაკიადა ფიზკულტურის კოლექტივების, სპორტული კლუბებისა და პროფკავშირთა ნებაყოფლობითი საზოგადოებების მუშაობის შედეგების დათვალიერება იქნება. იგი ხელს შეუწყობს სპორტსმენთა ოსტატობის ზრდას, მათს მომზადებას 1972 წლის ზამთრის ოლიმპიური თამაშებისთვის.

ფინალური შეჯიბრებები მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვის, ლენინგრადის ნაკრები გუნდებისა და რსფსრ-ს ტერიტორიულ სპარტაკიადებში გამარჯვებული კოლექტივების მონაწილეობით 1971 წლის მარტში ჩატარდება.

რამდენიმე სტრიქონით

— რუსთავი

ყოველი წლის საფეხბურთო სეზონის დამთავრების შემდეგ, დეკემბრის მიწურულს, რუსთავში ეწყობა ტრადიციული ამხანაგური მატჩი ადგილობრივი „მეტალურგის“ საბრძოლო შემადგენლობასა და ვეტერანებს შორის, რომლებიც სხვადასხვა წელს იცავდნენ ამ გუნდის ღირსებას. ახლანდელი მატჩი ახალგაზრდებმა დაძაბული ბრძოლის შემდეგ მოიგეს — 2:1.

რ. ბაბრიჟიძე.



✦ თელავი

რუსული საშუალო სკოლის შიდასაკოლექტივო სპარტაკიადის პროგრამაში 7 სახეობა შედიოდა. კომპლექსურ ჩათვლაში ყველას აჯობეს X (მეორე) კლასის მოსწავლეებმა, რომელთაც გადაეცათ კიდეც გარდამავალი თასი.

ვ. ძამუკოვი,
ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე.

სსრ კავშირის XXXVII ჩემპიონატი



• აღმაფრენის მომენტი • ზოგჯერ დიდოსტატიც შეცდება • ეძებენ ადგილს მზის ქვეშ • ეს მეტად საჭირო ქულა

გუშინწინ გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

მოსკოვი. ეს გახლდათ ჩემპიონატის ერთ-ერთი ცენტრალური შეხვედრა. ადგილობრივი „დინამო“, რომელიც წლეულსაც საოცრად უთანაბროდ თამაშობს, მასპინძლობდა ჩემპიონატის ლიდერს — კიევის „სტროიტელს“. მატჩი სტუმრების უპირატესობით დაიწყო. ისინი უფრო ზუსტად თამაშობდნენ დაცვაში და უკეთ პოულობდნენ გზებს მეტოქის კალათის ასაღებად. მე-16 წუთამდე „სტროიტელი“ წინ იყო. რჩებოდა შთაბეჭდილება, რომ უკრაინელი კალათბურთელები შეინარჩუნებდნენ უპირატესობას მეორე ტაიმშიც და გამარჯვების ქულას აიღებდნენ.

მაგრამ დინამოელები და, პირველ ყოვლისა, მათი ორმეტრიანი დებიუტანტი სოლოგუბი სულ სხვაგვარად ფიქრობდნენ. „სტროიტელს“ ბედმა უმუხთლა — მას „დინამოსთან“ სწორედ მაშინ მოუხდა თამაში, როცა ეს უკანასკნელი განსაკუთრებით ბრძოლისუნარიანი აღმოჩნდა. ასეთი აღმაფრენის მომენტები მოსკოველებს აქვთ, თანაც, თუ ძლიერ მეტოქეს ხვდებიან. შესვენებამდე დარჩენილ 4 წუთში სოლოგუბმა ნამდვილი ცეცხლი დაანთო მოედანზე და თავისი გუნდი 2 ქულით დააწინაურა. ტაიმი მოსკოველებმა მოიგეს — 39:37.

მეორე ოც წუთში „დინამომ“ თავის თავს გადააჭარბა და, ვინაიდან ლიდერს არ შეეძლო სასწაულის მოხდენა, თავი დამარცხებულად ცნო. 16-ქულიანი სხვაობა (92:76) ერთხელ კიდევ ხაზს უსვამს მოსკოველთა დიდ შესაძლებლობებს, რაც, სამწუხაროდ, მუდამ სწორ გზას ვერ პოულობს. „დინამომ“ შარშანდელი შემადგენლობიდან დიდი ძალა დაკარგა ილიუკის სახით. სამაგიეროდ, მან სულ ახლახან „დაიმტკიცა“ სსრ კავშირის ნაკრების ერთ-ერთი გამთამაშებელი ზასტუხოვი. მდგომარეობა ამ მხრივ გათანაბრდა და, შესაძლოა, ეს მოსკოველთა შემდგომი წარმატების მიზეზიც კი გახდეს.

გუშინწინდელ მატჩში მოსკოველთაგან ყველაზე შედეგიანი იყო სოლოგუბი (32 ქულა), სტუმრებიდან კი პოლივოდა (25).

კაუნასი. როგორ ფორმაშიც უნდა იყვნენ ბალტიისპირეთის გუნდები, ერთმანეთში მათ მუდამ საინტერესო, დაძაბული და უაღრესად ამაღელვებელი ბრძოლა აქვთ. შესაძლოა ეს იმიტომაც ხდება, რომ ბალტიისპირეთში კალათბურთის კულტურა იმთავითვე თავისებურად ინერგებოდა, ვითარდებოდა და მუდამ მისთვის დამახასიათებელ ელემენტებს მოიცავდა.

ერთი სიტყვით, „ჟალგირისისა“ და ტარტუს „კალევის“ თამაშმა ტრადიციულად დიდძალი მაყურებელი მიიზიდა. გულშემატკივრების მოლოდინი მხოლოდ ნაწილობრივ გამართლდა. თამაში მართლაც ამაღელვებელი იყო, მაგრამ მასპინძლები დამარცხდნენ — 63:67 (28:34). თუმცა, შესაძლოა ყველაფერი კეთილად დასრულებულიყო, ლიტველებისთვის [illegible]სა და სსრ კავშირის ნაკრების კაპიტანს პაულაუსკასს რომ არ გამოეჭრა ყელი.

დიახ, ზოგჯერ დიდოსტატიც იმსახურებს საყვედურსა და გაკილვას. პაულაუსკასს არაერთხელ გამოუყვანია გუნდი განსაცდელიდან. იგი ხშირად „ჟალგირისის“ გამარჯვების მთავარი მიზეზია. მას გუშინწინაც ჰქონდა ასეთი საშუალება, მაგრამ...

... თამაშის დამთავრებას 7 წამი აკლდა, როცა ლიტველებმა (უფრო სწორად, პაულაუსკასმა) ორი საჯარიმო ტყორცნის უფლება მიიღეს. მართალია, ამ დროისთვის „კალევი“ 2 ქულით იყო წინ (65:63), მაგრამ ზუსტად შესრულებული საჯარიმოები ანგარიშს, ცხადია, გაათანაბრებდა. დამატებით დროში კი ყველაფერი იყო მოსალოდნელი. სინამდვილეში მოხდა ყველაზე მოულოდნელი — პაულაუსკასმა ვერც ერთი საჯარიმო ვერ ჩააგდო. დარჩენილ 7 წამში ბურთს ესტონელები დაეუფლნენ და ანგარიშიც კი გაზარდეს! ახლა განსაჯეთ, რა გუნებაზე იქნებოდნენ პაულაუსკასის ქომაგები.

რიგა. ჩემპიონატში ყველა გუნდს თავისი კონკრეტული ამოცანა აქვს. ზოგი მედლებისთვის იბრძვის, ზოგი, საერთოდ, უკეთეს ადგილზე გასვლისთვის. მაგრამ არიან ისეთებიც, რომლებიც დიდი კალათბურთის მზის ქვეშ ეძებენ ადგილს მხოლოდ. სხვა, უფრო მაღალ მატერიებზე ფიქრის უფლება მათ ჯერჯერობით არა აქვთ. გუშინწინ ერთმანეთს შეხვდა სწორედ ორი ასეთი კოლექტივი — ადგილობრივი ასკ და თბილისის „ბურევესტნიკი“.

თქმა მხოლოდ იმისა, რომ თბილისელებმა გაიმარჯვეს ანგარიშით 82:77 (47:41), იმას ნიშნავს, რომ საერთოდ არაფერი თქვა. თბილისელებმა გააკეთეს გაცილებით მეტი, ვიდრე ერთი მატჩის მოგებაა. ცსკა-სთან, ან „სტროიტელთან“ გამარჯვებას მათთვის ისეთი მნიშვნელობა არ ექნებოდა, როგორც ამ ქულას. „ბურევესტნიკმა“, ფაქტიურად, შეუძლებელი შეძლო და თავისი უახლოესი მეტოქე მისსავე მოედანზე დაამარცხა.

სვერდლოვსკი. ადგილობრივმა „ურალმაშმა“ მიიღო თბილისის „დინამო“. ბრძოლა იყო უაღრესად მძაფრი და დაუნდობელი. თბილისელებმა ტაიმი 3 ქულის სხვაობით მოიგეს (30:27). ეს უპირატესობა მათ მატჩის ბოლომდე შეინარჩუნეს და მეტოქე დაამარცხეს — 63:60. „დინამოსთვის“ ეს იყო მეტად საჭირო ქულა.

ალმა-ათა. ადგილობრივმა „ლოკომოტივმა“ დატოვა სატურნირო ცხრილის ბოლო სტრიქონი: დაამარცხა კიევის ასკ — 76:69 (32:29).

გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 6 იანვრისთვის

	თ.	მ.	წ.	ბ.	ქ.
ცსკა	10	9	1	832—707	9
„სტროიტელი“ (კიევი)	10	8	2	853—727	8
„სპარტაკი“ (ლენინგრადი)	10	7	3	785—715	7
„ჟალგირისი“ (კაუნასი)	9	6	3	707—682	6
ასკ (კიევი)	10	5	5	750—708	5
„კალევი“ (ტარტუ)	9	5	4	697—713	5
„დინამო“ (მოსკოვი)	9	5	4	763—716	5
„დინამო“ (თბილისი)	8	4	4	559—611	4
„ბურევესტნიკი“ (თბილისი)	10	3	7	736—834	3
ასკ (რიგა)	10	2	8	723—799	2
„ლოკომოტივი“ (ალმა-ათა)	9	2	7	683—772	2
„ურალმაში“ (სვერდლოვსკი)	10	1	9	736—840	1

კიდევ ერთი საერთაშორისო

3 და 4 იანვარს თბილისში, ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო გადადებული პარტიების დამთავრება. აი, მისი შედეგები: მ. ტალი (რიგა) — ე. კოსტრო (პოლონეთი) 0,5:0,5, ა. სუეტინი (მოსკოვი) — ე. გუფელდი (თბილისი) 1:0, სუეტინი — რ. ფუქსი (გდრ) 1:0, ნ. სპირიდონოვი (ბულგარეთი) — ე. ჰააგი (უნგრეთი) 1:0, რ. ხოლმოვი — ლ. შამკოვიჩი (ორივე — მოსკოვი) 0:1, ვ. ჩოკილტია (რუმინეთი) — სპირიდონოვი 0:1, ვ. ჰორტი (ჩეხოსლოვაკია) — ჰააგი 0,5:0,5. გუშინ: კოსტრო — ჩოკილტია 0:1.

ამაო აღმოჩნდა ტალის ლტოლვა გამარჯვებისკენ კოსტროსთან პარტიაში. პოლონელმა ოსტატმა ორი საღამო იბრძოლა და საწადელსაც მიაღწია.

წარმატებით ითამაშა სპირიდონოვმა. მან საუცხოოდ გამოიყენა ჩოკილტიასთან მცირე პოზიციური უპირატესობა, ხოლო ჰააგთან ენდშპილში— ფიგურების აქტიური განლაგება. ამ ორი გამარჯვებით ბულგარეთის ჩემპიონმა საერთაშორისო ოსტატის ნორმატივი შეასრულა.

სატურნირო მდგომარეობა გაიუმჯობესა სუეტინმა. გუფელდთან მას გარკვეული უპირატესობა ჰქონდა ენდშპილში, ფუქსთან პარტიაში კი მისმა ეტლმა და კუმ დიდი ენერგია განავითარეს. მათთან ბრძოლაში გდრ-ის ოსტატის ლაზიერი უძლური აღმოჩნდა.

ჩოკილტიას კოსტროსთან მარტივ ენდშპილში ზედმეტი ხარისხი ჰქონდა. მათ ორდღიანი ბრძოლა არ ეყოთ, — გუშინ დილითაც თამაშობდნენ. საბოლოოდ გაიმარჯვა ჩოკილტიამ.

გუშინ, XV ტურში ყაიმით დამთავრდა პარტიები: ჰორტი — ჩოკილტია, გუფელდი — შამკოვიჩი, ჰააგი — გურგენიძე, ტალი — ბრონშტეინი, ხოლმოვი — სპირიდონოვი, ფუქსი — კოსტრო, მაშიჩი — ლეინი, ჯინჯიხაშვილი — სუეტინი.

ამრიგად, I-II ადგილები გაიყვეს მ. ტალმა და ბ. გურგენიძემ — 10,5-10,5 ქულა. III ადგილზეა ვ. ჰორტი — 10.

თ. გიორგაძე.

იტალიური ჟურნალის აღიარება

მსოფლიოს ერთ-ერთ უძველეს საჭადრაკო ჟურნალ „იტალია სკაკისტიკას“ (გამოდის იტალიაში 1911 წლიდან) ტრადიციად აქვს კომპოზიციის განყოფილებაში წლის მანძილზე გამოქვეყნებული საუკეთესო ამოცანებისა და ეტიუდების საგანგებო აღნიშვნა. ამას წინათ ჟურნალმა შეაჯამა 1963 წელს დასტამბული ეტიუდები. კონკურსს სჯიდა საერთაშორისო არბიტრი ჰ. კასპარიანი (სსრ კავშირი).

25 ქვეყნის 76 ეტიუდისტის 188 ნაწარმოებში I პრიზი მიენიჭა ე. დობრესკუს, II — ვ. ნესტორესკუს (ორივე — რუმინეთი), III — ვ. კალანდაძეს (სსრ კავშირი).

ჟურნალი მაღალ შეფასებას აძლევს თბილისელი ეტიუდისტის ვ. კალანდაძის ნაწარმოებს. იგი აღნიშნავს, რომ კომპოზიტორმა გონებამახვილურად ააგო მოგების გეგმა. გთავაზობთ ეტიუდს, რომელიც მართლაც საუცხოო შთაბეჭდილებას ტოვებს.



თეთრები იწყებენ და იგებენ.

შავ მეფეს შამათი ემუქრება. იგი ხსნას პატის შანსის გამოყენებაში ეძებს, მაგრამ თეთრი, გვირგვინოსანი ფეხზელი მოძრაობით ერთ-ერთ შავ პაიკს უახლოვდება და იმარჯვებს.

1. ეc7 ეa8+ 2. მფb5 ეb8 3. მფa5 (თუ 3. მფc4 ეc8 და შავები იგებენ) 3. ... ეa8+ 4. მფb4 ეb8+ 5. მფc3 ეc8 6. ე:c8+ მფg7 7. ეg8+ (7. მფ:d2 g1ლ 8. ეg8+ მფh6 9. ე:g1. პატი) 7. ... მფh6 8. ეd8! მფg6 (8. ... g1ლ 9. ეh8+ მფg6 10. ეg8+ მფh6 11. ე:g1 d1ლ 12. ე:d1) 9. მფc2! მფh6 10. ეh8+ მფg6 11. ეg8+ მფh6 12. მe4 მოგებით.

* * *

სურათზე: ვ. კალანდაძე.

ძველი ფოტოსურათები მოგვითხრობენ

სტუმრად თბილისში

1936 წლის ზაფხულში თბილისს საგასტროლოდ ეწვივნენ სსრ კავშირში სტუმრად მყოფი უნგრელი დიდოსტატი ა. ლილიენტალი (შემდგომ სსრ კავშირის მოქალაქე) და ლენინგრადელი ოსტატი (შემდგომ დიდოსტატი) ვ. რაგოზინი.

სტუმრები თბილისის საწარმო-დაწესებულებებში შეხვდნენ ჭადრაკის მოყვარულებს, ესაუბრნენ მოსკოვის III საერთაშორისო ტურნირზე, რომელშიც რაგოზინმა სენსაციური პარტია მოუგო მსოფლიოს ექს-ჩემპიონს ე. ლასკერს. სტუმრების ერთდროული თამაშის სეანსებმა ბევრი მოყვარული მიიზიდა.

საზაფხულო საჭადრაკო კლუბში — ს. ორჯონიკიძის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში, სადაც ეს სურათია გადაღებული, სტუმრებსა და უძლიერეს თბილისელ მოჭადრაკეებს შორის მოეწყო ამხანაგური საკონსულტაციო და ელვისებური პარტიები.

ა. ლილიენტალისა და ვ. რაგოზინის ჩამოსვლამ ხელი შეუწყო ჭადრაკის პროპაგანდას და ნიადაგი მოუმზადა თბილისში სსრ კავშირის X საჭადრაკო ჩემპიონატის (1937 წ.) ჩატარებას.

თ. ნინოშვილი.



სურათზე (მარცხნიდან): ვ. რაგოზინი, ვ. გოგლიძე, ა. ლილიენტალი, ნ. სოროკინი.

სად ჩატარდება ჰოკეისტთა ჩემპიონატი?

საკდესის ცნობები

ჟენევა, 4 იანვარი. „კანადა უარს იტყვის 1970 წლის მსოფლიო პირველობის ჩატარებაზე და ევროპულ ჰოკეისთან კავშირს გაწყვეტს, თუ პროფესიონალებს მსოფლიო ჩემპიონატში ჩვენი ნაკრების შემადგენლობაში გამოსვლას აუკრძალავენ“, — განაცხადა კანადის სამოყვარულო ჰოკეის ასოციაციის პრეზიდენტმა ე. დოუსონმა ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ლიგის საგანგებო საბჭოს სხდომაზე, რომელმაც აქ დაიწყო მუშაობა.

ეს განცხადება დოუსონმა გააკეთა მას შემდეგ, რაც სსრ კავშირის, ჩეხოსლოვაკიის, შვეციის, გდრ-ისა და ფინეთის ჰოკეის ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთსულოვნად გამოვიდნენ პროფესიონალთა მონაწილეობის წინააღმდეგ.

როგორც ცნობილია, ჰოკეის საერთაშორისო ლიგის კონგრესმა ექსპერიმენტის სახით ნება დართო მეორე ამერიკულ-კანადური ლიგის 9 პროფესიონალს 1970 წლის ჩემპიონატში გამოსულიყო. მაგრამ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა ე. ბრენდეჯმა განაცხადა, რომ მოყვარულ ჰოკეისტებს, რომლებიც ამ ტურნირში პროფესიონალებთან ერთად ითამაშებენ, 1972 წლის ოლიმპიურ თამაშებში მონაწილეობის უფლება ჩამოერთმევათ.

მოგაგონებთ იმასაც, რომ პირველობის „სათადარიგო ქვეყნად“ კიდევ უფრო ადრე იყო დასახელებული შვეცია.

ლიგის საბჭოს სხდომა გრძელდება.

შვეციაში და არა კანადაში...

ჟენევა, 5 იანვარი. 1970 წლის მსოფლიო ჩემპიონატი ჰოკეიში ჩატარდება შვეციაში და არა კანადაში, — ასე გადაწყვიტა ყინულის ჰოკეის საერთაშორისო ლიგის საბჭოს საგანგებო სხდომამ.

ემზადებიან მსოფლიო ჩემპიონატებისთვის

„დოლომიტის თასით" დაიწყო

ავსტრიის სამთო კურორტ ლინცში გაიმართა სამთომოთხილამურეთა ტურნირი „დოლომიტის თასზე". ასპარეზობა იმიტომაც იწვევდა განსაკუთრებულ ინტერესს, რომ იგი მომავალი მსოფლიო ჩემპიონატის მორიგი რეპეტიცია და მსოფლიოს თასის გათამაშების პირველი ტურის შეჯიბრება იყო.

ბრძოლა მეტისმეტად დაძაბული გამოდგა — ხშირად წამის მეასედები წყვეტდა ადგილების ბედს.

პროგრამაში იყო გიგანტური და სპეციალური სლალომი. გიგანტურ სლალომში მოასპარეზენი ტრასას ორჯერ გადიოდნენ. ვაჟებში ყველას აჯობა პ. რუსელმა (საფრანგეთი) — 3.21,07. მას 0,46 წამით ჩამორჩა იტალიელი გ. ტიონი. III ადგილზეა ავსტრიელი ი. ტიშჰაუზერი—3.23,14. თასის შარშანდელ გათამაშებაში გამარჯვებული კ. შრანცი (ავსტრია) VI ადგილს დასჯერდა — 3.25,75. იგი ჩამოიტოვეს, აგრეთვე, თანაგუნდელმა ფ. ბლაინერმა (3.24,26) და ფრანგმა ა. დიუვილარმა (3.24,48).

ქალები სპეციალურ სლალომში ცდიდნენ ძალას. გაიმარჯვა 20 წლის ამერიკელმა ჯ. ნაგელმა — 1.20,28. II ადგილზეა ფრანგი ი. ლაფორგი — 1.20,44, III — ბ. რაუტერი (ავსტრია) — 1.20,54. აღსანიშნავია, რომ პირველ ცდაზე საუკეთესო დრო ჰქონდა ლაფორგს, მაგრამ მეორე ცდაზე იგი დაეცა.

ვაჟთა სპეციალურ სლალომში 40 ქვეყნის 137 სპორტსმენი გამოდიოდა. პირველობა დარჩა ჟ. ოჟეს (საფრანგეთი), რომელმაც 2 ცდით 1.41,76 აჩვენა. მომდევნო ადგილებზე გავიდნენ ხ. ჰუბერი (ავსტრია), რ. შაფი (აშშ), ა. ცილიკი (ავსტრია), მ. როჟე (საფრანგეთი). შრანცი ექვსეულში ვერ მოხვდა.

სადღეისოდ მსოფლიო თასისთვის ბრძოლაში ასეთი მდგომარეობაა: ვაჟებში 45-45 ქულით დაწინაურდნენ რუსელი და ტიონი. III ადგილზეა ოჟე — 41. ქალებში ლიდერობენ ჟაკო, კოჰრანი და ნაგელი.

გუნდურ ჩათვლაში ვაჟთა და ქალთა მაჩვენებლების ჯამის მიხედვით დაწინაურდა საფრანგეთის გუნდი — 314 ქულა. II ადგილზეა აშშ-ს ნაკრები — 166, III — ავსტრიის კოლექტივი — 119.

გამარჯვებული დღეს გამოვლინდება

4 ტრამპლინის ტურნეს მონაწილეთა პირველი შეჯიბრების შესახებ „ლელო" უკვე წერდა. მეორე ასპარეზობას გარმიშ-პარტენკირხენი (გფრ) მასპინძლობდა. შეჯიბრების ლიდერი გ. ნაპალკოვი (სსრ კავშირი) ამჯერად უხეიროდ გამოვიდა — 84,5 და 85 მეტრზე გადახტა, XVIII ადგილი დაიკავა და ორი შეჯიბრების ჯამში VI ადგილზე გადაინაცვლა — 443,1 ქულა.

სამაგიეროდ, ბრწყინვალედ გამოვიდნენ ჩეხოსლოვაკიელები. უძლიერესი აღმოჩნდა ი. რაშკა, რომელიც ჯერ 92,5 მეტრზე გადახტა, მეორე ჩასათვლელ ცდაზე — 92 მეტრზე. ამ დღეს მან 241,4 ქულა მოაგროვა. პირველ ტურში (ობერსტდორფი) კი 215,3 ქულა ჰქონდა. ჯამში რაშკას 456,7 ქულა დაუგროვდა და შეჯიბრების ლიდერი გახდა.

ორი ტურის შემდეგ II ადგილზე იყო ი. მატოუში (ჩეხოსლოვაკია) — 450,4, III — ლ. გრინი (ნორვეგია) — 450. მაგრამ დიდხანს ლიდერობა თურმე არც მათ ეწერათ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან „მფრინავმა მოთხილამურეებმა" ავსტრიაში გადაინაცვლეს და გუშინწინ ინსბრუკში გააგრძელეს დავა. აქ გაიმარჯვა მსოფლიო ჩემპიონმა ბ. ვირკოლამ (ნორვეგია), რომელმაც სამ ტრამპლინზე გამართულ შეჯიბრებათა ჯამში II ადგილზე გადაინაცვლა. ნაპალკოვიც კარგად გამოვიდა და ახლა, ბოლო ტურის წინ, III ადგილზეა. ლიდერობს ჰ. გლუკი (გდრ).

დღეს ბიშოფსჰოფენში ბოლო შეჯიბრება გაიმართება და „მფრინავი მოთხილამურეები" 4 ტრამპლინის ტურნეს შედეგებს შეაჯამებენ.

თეთრი ბილიკებით

თებერვალში ჩეხოსლოვაკიის ტატრებში გაიმართება მსოფლიო პირველობა თხილამურებით რბენაში. ამ შეჯიბრებისთვის განსაკუთრებული მონდომებით ემზადებიან ჩრდილოეთის ქვეყნების გუნდები — ნორვეგიაში, შვეციაში, ფინეთში ხშირად ტარდება საერთაშორისო და ეროვნული ტურნირები ნაკრების კანდიდატთა მონაწილეობით.

ამ ქვეყნების ეროვნულ ფედერაციებს გადაწყვეტილი აქვთ სპორტსმენები ისე მოამზადონ, რომ აუცილებლად საპრიზო ადგილები მოიპოვონ, რათა ამით ბოლო წლებში შერყეული პრესტიჟი აღიდგინონ. მზადების ინტენსიკობა იმანაც განაპირობა, რომ ახლა იტალიის, პოლონეთის, გდრ-ის, გფრ-ის, სსრ კავშირის სპორტსმენები მრასხანე ძალას წარმოადგენენ. ჩეხოსლოვაკიელებს კი ხომ საკუთარი კედლების იმედიც აქვთ.

ნორვეგიელ მოთხილამურეთა მზადების მორიგი ეტაპი იყო ტურნირები მეროკერსა და ჰიონეფოსში. მეროკერში ვაჟები 24 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. მონაწილენი სიძლიერის მიხედვით რამდენიმე ჯგუფად დაიყვნენ. უძლიერესთა ჯგუფში გაიმარჯვა ა. ნერლანდმა (1:17 58), რომელმაც პ. ტილდუმს 23 წამით აჯობა. III ადგილზეა მ. იოსტჰუსი — 1:18.28. ჰ. გრიონინგენი IV ადგილს დასჯერდა — 1:19.30. ოსტატთა ჯგუფში ყველას აჯობა ვეტერანმა მ. ლუნდემომ, რომელმაც საერთო მეოთხე შედეგი (1:18.33) აჩვენა.

ჰიონეფოსში სპორტსმენებს წინ 20-კილომეტრიანი გზა ედოთ. ეს მანძილი ყველაზე სწრაფად ი. ჰარვიკენმა გაირბინა — 1:10.16. II ადგილზეა რ. იერმსტადი — 1:10.39, III — ო. მარტინსენი — 1:11.04.

შვედები ძალებს ცდიდნენ რეტვიკის მიდამოებში. აქ ვაჟები 15, ხოლო ქალები 5 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. ვაჟთა ტურნირი მოიგო უ.-ე. ლესტანდერმა (55.20,0), რომელმაც ბ. ანდერსონს 43 წამით აჯობა. სამაგიეროდ, ანდერსონმა 9 წამი მოუგო ა. რიონლუნდს.

ქალთა შეჯიბრებაში საუკეთესო იყო ვ. იულიპია — 19.22,0. II ადგილისთვის მძაფრი ბრძოლა ჰქონდათ ბ. ტანოსა და ბ. ლუნდკვისტს. საბოლოოდ ტანომ (20.06,0) მეტოქეს 3 წამი მოუგო.

ფინეთის მოთხილამურეებმა მორიგი ასპარეზობა კარსტულაში გამართეს. ტურნირში სსრ კავშირის სპორტსმენებიც გამოდიოდნენ. როგორც ქალებში, ისე ვაჟებში პირველობა მასპინძლებს ხვდათ. 5 კილომეტრზე შეჯიბრებაში მოსკოველი ა. კოლჩინა (17.55,0) III ადგილს დასჯერდა, ვინაიდან მას აჯობეს ჰ. ტაკალომ (17.35,0) და მ. კაიოსმაამ (17.39,0).

ვაჟები 10 კილომეტრზე ასპარეზობდნენ. ფ. ვედენინმა (31.38,0) გამარჯვება დაძაბულ ბრძოლაში დაუთმო ცნობილ კ. ლაურილას — 31.16,0.

250 ხაზით

სათხილამურო სპორტში მსოფლიო ჩემპიონატის საორგანიზაციო კომიტეტის წევრებმა ამას წინათ პრაღაში გამართეს პრეს-კონფერენცია, რომელსაც პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლები ესწრებოდნენ. აქ ითქვა, რომ მაღალმთიან ტატრებში უკვე გადაეცა საექსპლოატაციოდ ორივე ტრამპლინი, სარბენი ტრასები. სათხილამურო სპორტის საერთაშორისო ფედერაციის სპეციალურმა კომისიამ ყველა ნაგებობას მაღალი შეფასება მისცა და ხელი მოაწერა აქტს მათი მიღების შესახებ.

პრეს-კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობისთვის განაცხადი უკვე 25 ქვეყანამ გამოგზავნა. სულ სტარტზე გამოვა 600 სპორტსმენი. ტურნირების მსვლელობა გადაიცემა ჩვეულებრივი და ფერადი ტელევიზიით, აგრეთვე, ინტერვიზიით. უკვე აკრედიტებულია 300 უცხოელი და 200 ჩეხოსლოვაკიელი ჟურნალისტი, რომელთაც ნორმალური მუშაობისთვის ყველა პირობა ექნებათ. მსოფლიოს სხვა ქვეყნებთან მათ 250 სატელეფონო ხაზი დააკავშირებს.

20^{45}

◆ **ჰასტინგსი**, 5 იანვარი. აქ მიმდინარე ტრადიციულ საშობაო საერთაშორისო საჭადრაკო ტურნირში ლიდერობას იუგოსლაველი გლიგორიჩი და უნგრელი პორტიში იყოფენ. VI ტურში გლიგორიჩმა სძლია ჰოლანდიელ ტიმანს, ხოლო პორტიშმა ყაიმით დაამთავრა პარტია უნციკერთან (გფრ). ოქსფორდის უნივერსიტეტის ჩემპიონთან, 18 წლის კორდენთან წაგების შემდეგ მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა სმისლოვმა გამარჯვება გაუშვა ხელიდან რუმინელ დრიმერთან შეხვედრაში და ყაიმს დასჯერდა. ლიდერებს 4,5-4,5 ქულა აქვთ. III ადგილზეა უნციკერი — 4 ქულა, ხოლო IV-V — სმისლოვი და ტიმანი — 3,5-3,5.

◆ **ვროცლავი**, 5 იანვარი. ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის გათამაშების პირველ მეოთხედფინალურ მატჩში კიევის „სპარტაკის" ხელბურთელ ქალთა გუნდმა აქ დაამარცხა ადგილობრივი აზს — 24:12 (14:4). ბურთები გაიტანეს: ტურჩინამ — 8, შევჩენკომ — 6, მარშუბამ — 4, ტკაჩოვამ — 3, ბობრუსმა — 2 და ზახაროვმა. ამ გუნდების საპასუხო მატჩი კიევში გაიმართება.

როცა გაზეთი დასაბეჭდად მზად იყო...

◆ **ოსლო**, 5 იანვარი. ნორვეგიელმა მოთხილამურემ მ. მიურმუმ წლევანდელი სეზონი კარგად დაიწყო. მორიგ წარმატებას მან 20-კილომეტრიან ტრადიციულ რბოლაში — „მონოლიტ-რენეტში" მიაღწია. ეს შეჯიბრება ქალაქის პარკ „ვიგელანდის" წრიულ ტრასაზე იმართება. გამარჯვებულის დროა 1:10.13,7. II ადგილი დაიკავა მიურმუს თანამემამულემ ე. სტეინეიდეტმა — 1:11.27,9, ხოლო III — შვედმა ლ.-ე. ასლუნდმა — 1:11.37,7. ამ შეჯიბრებაში შარშან გამარჯვებული, მსოფლიო ჩემპიონი გ. ეგენი (ნორვეგია) პირველ ათეულში ვერ მოხვდა. რბოლას თვალს ადევნებდა 2 ათასამდე გულშემატკივარი. ამინდიც მშვენიერი იდგა: მზე, 6 გრადუსი ყინვა...

◆ **გიევიკი**, 5 იანვარი. მსოფლიო ჩემპიონატის წინ ზამთრის ორჭიდის იაპონელმა ოსტატებმა ნორვეგიის ამ ქალაქში დამთავრებულ საერთაშორისო შეჯიბრებაში ნამდვილი სიურპრიზი შემოგვთავაზეს: I ადგილი მოიპოვა ხ. იტაგაკიმ (400,1 ქულა), ხოლო II — ი. კაცურომ (392,9). III ადგილზე გასული ნორვეგიის ჩემპიონი მ. სვენდსენი მეტოქეებს საგრძნობლად ჩამორჩა — მან 380,5 ქულა დააგროვა.

ყუმბარა... ფეხბურთის მინდორზე

ჩვენ არაერთხელ ვწერდით, რომ უცხოეთის სტადიონებზე ძალიან ხშირია წესრიგის დარღვევა. თავაშვებული ქომაგები ხშირად ერევიან მატჩის მსვლელობაში და ხელს უშლიან თამაშს. ამ სურათზე სწორედ ერთი ასეთი მომენტია აღბეჭდილი. ბუენოს-აირესის სტადიონზე ადგილობრივი „ესტუდიანტესისა" და ინგლისის „მანჩესტერ იუნაიტედის" შეხვედრის წინ ინგლისელი ფეხბურთელი დ. ლოუ დაბნეული შესცქერის ცრემლმდენი ყუმბარის მოქმედებას, რომელიც მაყურებლებმა ისროლეს მინდორზე.

[illegible]

◆ **თბილისი**

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში გაიმართა სტუდენტ-სპორტსმენთა და თბილისის მოწინავე მუშა-ახალგაზრდობის შეხვედრა, რომელიც ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავს მიეძღვნა. სტუდენტებმა და ახალგაზრდა მუშებმა ილაპარაკეს თავიანთ სპორტულ და შრომით მიღწევებზე. საზეიმო სხდომის შემდეგ ნაჩვენები იქნა კინოსურათი ინსტიტუტის ცხოვრებიდან, გაიმართა შეჯიბრებები მუშა-ახალგაზრდებისა და სტუდენტთა გუნდებს შორის ფრენბურთსა და კალათბურთში. სტუმრები დაესწრნენ საწვრთნელ მეცადინეობებს ტანვარჯიშსა და აკრობატიკაში, გაეცვნენ ინსტიტუტის ცხოვრებას, დაათვალიერეს აუდიტორიები, ლაბორატორიები და სპორტდარბაზები.

მ. ტუღუში,
ფიზკულტურის ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის ასპირანტი.

* * *

საქართველოს სსრ მელიორაციისა და წყალთა მეურნეობის საპროექტო ინსტიტუტში ჩატარდა შეჯიბრება მაგიდის ჩოგბურთში. I ადგილი დაიკავა გ. მაისაშვილმა, II — გ. ჭულაბიშვილმა, III — ს. სულეიმანოვმა.

ნ. ღამბაშიძე,
ფიზკულტურული კოლექტივის საბჭოს თავმჯდომარე, შეჯიბრების მთავარი მსაჯი.

[illegible]

[illegible]

ბელენბერგი (გფრ), 4 იანვარი. 19 წლის ჭაბუკმა ძალოსანმა რ. მანგმა მსოფლიოს 4 რეკორდი დაამყარა იუნიორთა შორის ზემძიმე წონაში. მან 200,5 კგ აჰიმა, 160 კგ აიტაცა, 209,5 კგ აჰკრა და სამჭიდში 567,5 კგ დააგროვა. ამ ბოლო შედეგით მანგი მსოფლიოს უძლიერეს ათლეტთა შორის შედის. საინტერესოა, რომ დასავლეთგერმანელი ათლეტი მეხიკოს ოლიმპიადაში V ადგილზე გავიდა (525 კგ). რეკორდსმენის საკუთარი წონა ცოტათი აღემატება 120 კგ-ს.

შეცდომების გასწორება

„ლელოს" 4 იანვრის ნომერში მე-2 გვერდზე დაბეჭდილ წერილში — „მსჯელობის საგანი — მარცხის მიზეზები" ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის საორგანიზაციო მუშაობისა და კადრების განყოფილების მიზეზით დაშვებულია შეცდომები. ბოლო აბზაცი უნდა იკითხებოდეს ასე: „ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა მინსკში ხულიგნობისთვის წყალბურთელ რ. გოგუაძეს 2 წლით დისკვალიფიკაცია მისცა..." შემდეგ, როგორც ტექსტშია.

იქ, სადაც ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალოსნებზეა ლაპარაკი, ი. ვიხროვის მაგიერ უნდა იყოს ი. ვახროვი, თ. გოშაძის მაგიერ რ. გოშაძე, მ. სულამანიძის ნაცვლად შ. სულამანიძე.

„ლელოს" იმავე ნომერში პირველ გვერდზე დაბეჭდილ ინფორმაციაში — „ხუთ წუთში და 5 წამით ადრე" საკდესის მიზეზით დაშვებულია შეცდომა. კიშინიოვში, კალათბურთელ ქალთა ტურნირში, ყველას აჯობა მოსკოვის „სერპ ი მოლოტმა" და არა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის გუნდმა (თბილისელები II ადგილზე გავიდნენ).

რედაქტორი მ. კაკაბაძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტ-მბა, ლენინის ქ. № 14. 8 უე 08003